

უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (8)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის აგვისტოს თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 1.3%-ით შემცირდა და ქვეყნის მასშტაბით 39 810 ერთეული შეადგინა. ა.წ. აგვისტო 2010-2014 წლების იმავე თვესთან შედარებით უპირატესი კლებით გამოირჩევა: 2010 წლის აგვისტოსთან (30 593 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 28.5%-ით, 2011 წლის აგვისტოსთან (40 569 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - კლება 3.1%-ით, 2012 წლის აგვისტოსთან (44 502 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - კლება 11.6%-ით და 2013 წლის აგვისტოსთან (39 856 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - კლება 1.3%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 19.9%-ით შემცირდა: კლება დაფიქსირდა როგორც პირველადი (35.6%-ით), ისე მეორადი (15.8%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის აგვისტოს თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010 = 100) დაფიქსირდა 0.935 დონეზე, რაც ჩამორჩება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (0.947).

ამკარაა, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა უძრავი ქონების პირველადი (18.0%-ით), ხოლო გაიზარდა მეორადი (2.8%-ით) ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის აგვისტოს თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 6 517, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 32 810 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.589 და 1.058 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: ა.წ. აგვისტოში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 83.4%-ს მეორადი, ხოლო 16.6%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენდნენ (2013 წლის აგვისტოში კი - შესაბამისად 80.0% და 20.0%).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა...

აგვისტო, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა
აგვისტო, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	აგვისტო	
		2013	2014
რაოდენობა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	7952	6517
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	31904	32810
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	39856	39327
სტრუქტურა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	20.0	16.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	80.0	83.4
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	0.6	-35.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-13.7	-15.8
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-11.2	-19.9
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-38.2	-18.0
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	0.9	2.8
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-10.4	-1.3
სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.718	0.589
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.029	1.058
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.947	0.935

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

Վճարահարմարության ցուցանիշի տեղափոխություններ... 2010-2014
տեղափոխությունների համաճեղման քանակ (ՀՀ-ում)

